ნინო თანდილაშვილი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ntand18@freeuni.edu.ge

ისლამოფობიის გავლენა საფრანგეთში მცხოვრებ მუსლიმებზე

რეზიუმე

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მზარდმა ტერაქტებმა, რომლის ორგანიზატორები ხშირად იყვნენ მუსლიმები, გამოიწვია ნეგატიური დამოკიდებულება ამ რელიგიის მიმართ. სტერეოტიპები, რომ მუსლიმები არიან საშიშები და აგრესიულები, ვრცელდებოდა დასავლეთში, რაც, ბუნებრივია, იწვევდა ისლამოფობიური დამოკიდებულების ზრდას. მინდა აღვნიშნო, რომ, დღესდღეობით, სამწუხაროდ, მსგავსი განწყობა მუსლიმების მიმართ არაერთ სახელმწიფოში შეიმჩნევა. ამ შემთხვევაში, მე გავაანალიზებ ერთი კონკრეტული ევროპული ქვეყნის, საფრანგეთის მაგალითს. მნიშვნელოვანია თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს ამ სახელმწიფოში ისლამოფობია ფრანგ მუსლიმებზე, შესაბამისად, ყურადღებას გავამახვილებ ქვეყანაში არსებულ და კანონებზე, რაც შეეხება იქ მცხოვრებ მუსლიმებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. ბუნებრივია, განვიხილავ ფრანგულ სეკულარიზმს, რასაც, რეალურად, უკავშირდება ქვეყანაში მიღებული კანონები. მსჯელობა იქნება შემდეგი კითხვების გარშემო: იზღუდება თუ არა მუსლიმების უფლებები, არიან თუ არა ამ რელიგიის მიმდევრები დისკრიმინაციის მსხვერპლნი, ხშირია თუ არა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ქმედებები მუსლიმების წინააღმდეგ და რამდენად ფართოდაა გავრცელებული ისლამოფობია ევროპის ამ სახელმწიფოში.

საკვანძო სიტყვები: ისლამოფობია, კულტურული რასიზმი, ლაიციზმი, ფრანგი მუსლიმები, დისკრიმინაცია.

ისლამი ყველაზე ახალგაზრდა მონოთეისტური რელიგიაა. ეს გახლავთ სარწმუნოება, რომლის შესახებაც ადამიანები წლების განმავლობაში კამათობდნენ. არის თუ არა ისლამი აგრესიის საფუძველი, ამართლებს თუ არა ეს რელიგია მკვლელობას, არიან თუ არა მუსლიმები საშიშები - ამ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოება ათწლეულების განმავლობაში მსჯელობდა. რეალურად, ისლამური ტრადიცია ზღუდავს ძალადობის გამოყენებას და არ ამართლებს ტერორიზმს. სამწუხაროდ, ტერორისტული აქტების შედეგად ისლამი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გახდა ძალადობრივი და სასტიკი რელიგია. ის, დღესდღეობით, არც თუ ისე ცოტა ადამიანისთვის, ასოცირდება საფრთხესთან (Esposito 2002, 140) როდესაც ოსამა ბინ ლადენმა დაიწყო საუბარი ტერორისტული თავდასხმების რელიგიურ მოტივებზე, დასავლურმა მედიამ დაიწყო ისლამის ჭეშმარიტი ხასიათის გაანალიზება. 11 სექტემბრის შემდეგ, ტერორისტები მოხსენიებულნი იყვნენ ერთი ზოგადი ტერმინით - „მუსლიმები“. თავისთავად, როდესაც ვრცელდებოდა ინფორმაცია, სადაც ტერორისტი გაიგივებული იყო მუსლიმთან, საზოგადოებაში ჩნდებოდა მოსაზრება, რომ ყველა მუსლიმი არის ექსტრემისტი, რაც, ბუნებრივია, აძლიერებდა ისლამოფობიას, რაც გულისხმობს ცრურწმენებს, ნეგატიურ განწყობასა და მტრულ დამოკიდებულებას ისლამისა და მუსლიმების მიმართ (Abdulla 2007, 1).

საინტერესოა, რომ ისლამოფობია, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არის კულტურული რასიზმი. რასიზმის ეს ფორმა აღძრავს სიძულვილს და მტრობას, რომელიც ეფუძნება რელიგიურ შეხედულებებს, კულტურულ ტრადიციებსა და ეთნიკურ წარმომავლობას. მუსლიმების მიმართ მტრობა გამოიხატება კულტურული და რელიგიური ფაქტორით (Green 2015, 27). ანტიმუსლიმური რასიზმი უკავშირდება ორიენტალიზმის ხანგრძლივი ისტორიით შემდგარ მეტაფორებს, სტერეოტიპებსა და განწყობებს (Müller-Uri and Opratko 2016, 121). წლების განმავლობაში, მუსლიმები მიჩნეულნი იყვნენ, და სამწუხაროდ, დღემდე აღიქმებიან, განუვითარებელ ბარბაროსებად, ისლამი კი ძალადობრივ რელიგიად, რომლის მიმდევრებიც არაცივილიზებულნი და დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე დაბლა მყოფნი იყვნენ. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ისლამოფობია უარყოფილია, როგორც პრობლემა და დაცულია, როგორც პრაქტიკა. ამ გაგებით, ისლამოფობია არ არის ისეთივე „სისაზიზღრე“, როგორც რასიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ის აღიქმება, როგორც რაციონალური პასუხი იმ საფრთხეებზე, რაც ემუქრება დასავლურ, უნივერსალურ ღირებულებებს (Sayyid 2011, 3).

ზოგი ადამიანისთვის, მუსლიმები არიან ჩამორჩენილები და მათ ვერ მიაღწიეს განვითარების იმ დონეს, რაც არსებობს დასავლეთში. საინტერესოა, რომ 2020 წელს, პანდემიის პერიოდში, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მუსლიმები ვერ იაზრებდნენ მსოფლიოში არსებულ ვითარებს და არ იცავდნენ ჰიგიენის წესებს. ამასთან ერთად, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ისინი განზრახ ავრცელებდნენ ვირუსს. ამ პერიოდში, ვრცელდებოდა შეურაცხმყოფელი შინაარსის პოსტები, მაგალითად: „მუსლიმთა უმეტესობა ბინძურია“, „მუსლიმები არ იცავენ ჰიგიენის წესებს“, „დაე დაინფიცირონ ერთმანეთი“, „ვერ ვითმენ, რომ ვნახო როგორ იღუპებიან კაბებში გამოწყობილი მოხუცი მუსლიმი კაცები“ (Rose 2021, 19). მუსლიმების პოტენციური სიკვდილის აღსანიშნავად, 4chan-ის ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა პოსტი 2020 წლის მარტში, სადაც წერია, რომ ის იმედოვნებს, რომ „ყველა მუსლიმი (mudslimes) დაავადდება და დაიღუპება“. ამ პოსტს მოჰყვა გამოხმაურება სადაც 4chan-ის კიდევ ერთმა მომხმარებელმა განაცხადა, რომ რამადანის სიახლოვის გათვალისწინებით, მუსლიმი ხალხი დასუსტდება, შემდეგ შეიკრიბებიან ერთად და დაიღუპებიან მასობრივად, რაც, მისი თქმით „მშვენიერი იქნება“ (Rose 2021, 19). აღსანიშნავია, რომ ინტერნეტში გავრცელებული ყალბი ინფორმაცია მოიცავდა მეჩეთებში მყოფი ადამიანების ფოტო-სურათებსა და ვიდეოებს, რომლებიც გადაღებული იყო ბრიტანეთში ლოქდაუნის გამოცხადებამდე ერთი კვირით ადრე (Birmingham City University 2020). ეჭვგარეშეა, რომ COVID-19-ის პანდემიას მოჰყვა მრავალი გამოწვევა, მათ შორის სოციალური პრობლემები. ამ პერიოდში, სამწუხაროდ, გაიზარდა მუსლიმთა შევიწროება და მათ მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშრომში ვკონცენტრირდები ერთ კონკრეტულ ევროპულ სახელმწიფოზე, საფრანგეთზე, რადგან, ჩემი აზრით, ამ ქვეყნის მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა. საფრანგეთი გახლავთ სახელმწიფო, სადაც, დღესდღეობით, დაახლოებით 5 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს (Iqbal 2015). აღნიშნულ სახელმწიფოში არსებული სიტუაცია საინტერესოა იმ მხრივ, რომ საფრანგეთში მოქმედებს კანონები, რასაც ბევრი, არა მხოლოდ მუსლიმები, ისლამის წინააღმდეგ მოქმედ კანონებად მიიჩნევს. აღნიშნული კანონები უკავშირდება ფრანგულ სეკულარიზმს - ლაიციზმს, რაც ხშირად აღიქმება იარაღად, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ისლამოფობიის ქვეყანაში დასაკანონებლად (S.P. 2020). ქვეყანაში აკრძალვები ეხება რელიგიურ სიმბოლოებს, მათ შორის ისლამურ თავსაბურავებს. 2010 წელს საფრანგეთში ნიკაბისა და ბურკას ტარება აიკრძალა. ნიკოლა სარკოზმა, საფრანგეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ ეს კანონი მიზნად ისახავდა საფრანგეთის სეკულარული ფასეულობების დაცვასა და ასევე, ქალების დაცვას, რათა ისინი არ ყოფილიყვნენ იძულებულნი, რომ სახე დაეფარათ საზოგადოებაში. ცნობილია, რომ არის შემთხვევები, როდესაც გოგონებს, ხშირად არასრულწლოვან ბავშვებს, ოჯახი აიძულებს თავშლის ტარებას ტრადიციებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, მსგავსი ქმედება დაუშვებელია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუსლიმ ქალებს უნდა შეეზღუდოთ თავისუფლება და არჩევანის გაკეთების უფლება იმასთან დაკავშირებთ, სურთ თუ არა თავსაბურავის ტარება საზოგადო-

ებრივი თავშეყრის ადგილებში. ქალებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად გადაწყვიტონ თუ როგორ სურთ ჩაცმა (Esposito 2002, 234).

დრესდღეობით, საფრანგეთის სენატი ცდილობს ქვეყანაში აიკრძალოს ჰიჯაბის ტარება 18 წლამდე ასაკის გოგონებისთის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ამასთან ერთად, აკრძალვა შეეხება სასკოლო ექსკურსიებზე ქალების, მოსაწავლეების დედების, მიერ ჰიჯაბის ტარებასა და საჯარო მოხელეების მიერ რელიგიური სიმბოლოების ტარებას. აღნიშნულ კანონპროექტს, ბუნებრივია, მოჰყვა შესაბამისი რეაქცია მუსლიმების, და არა მხოლოდ მუსლიმების მხრიდან და #HandsOffMyHijab ფართოდ გავრცელდა სოციალურ მედიაში („'Law against Islam'" 2021).

საფრანგეთის სენატის ეს ინიციატივა გახლავთ ე.წ. „ანტისეპარატიზმის" კანონპროექტის ნაწილი (Lang 2021). 2020 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ისლამი არის რელიგია, რომელიც დღეს კრიზისს განიცდის მთელ მსოფლიოში და საფრანგეთში საჭირო იყო ისლამის გათავისუფლება უცხო გავლენისაგან. ორი თვის შემდეგ, საფრანგეთის მთავრობამ წარადგინა კანონპროექტი, რათა ებრძოლოს „ისლამისტურ სეპარატიზმს" - იდეოლოგიას, რომელიც არის „რესპუბლიკის მტერი" (Yeung 2021).

2022 წლის აპრილში საფრანგეთში მიმდინარეობდა საპრეზიდენტო არჩევნები. საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების უმრავლესობამ ხმა მისცა ულტრამემარცხენე ჟან-ლუკ მელენშონს პირველ ტურში. რაც შეეხება მეორე ტურს. ამ შემთვევაში, რამდენიმე იმამი, მათ შორის პარიზის დიდი მეჩეთის წინამძღვარი, მოუწოდებდა მლოცველებს, ხმა მიეცათ ემანუელ მაკრონისათვის, რათა მარინ ლე პენი არ გამხდარიყო პრეზიდენტი (Khan-Ruf 2022). საინტერესოა, რომ მაკრონისათვის ხმის მიცემა არაერთი ფრანგი მუსლიმისთვის საკმაოდ რთული იყო, თუმცა მუსლიმების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გაიზრდებოდა ულტრამემარჯვენე ლიდერის მარინ ლე პენის გამარჯვებით. ზოგადად, ლე პენი გამოირჩეოდა ანტი-მუსლიმური რიტორიკით. მაგალითად, მას სურდა საჯარო სივრცეში ჰიჯაბის ტარების აკრძალვა მაგრამ არა სხვა რელიგიური სიმბოლოების, როგორიცაა ებრაული კიპა (Jabkhiro and Ausloos 2022). აღსანიშნავია, რომ ლე პენის თქმით, თავსაბურავი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ადამიანის რელიგიური მრწამსის ნიშანი. მისი აზრით, ეს იყო მხოლოდ „ისლამისტური ფორმა" (Khan-Ruf 2022). ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მარინ ლე პენმა მიიღო 41.45% (France24 2022) ჩემი აზრით, ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ დღესდღეობით, საფრანგეთში ისლამოფობია არსებობს, რაც დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სამწუხაროა, რომ დასავლეთში, მათ შორის, საფრანგეთში, არც თუ ისე იშვიათია მოქალაქეების მხრიდან გამოხატული სიძულვილი და მტრული დამოკიდებულება მუსლიმების მიმართ, რაც ხშირად სიძულვილს ნიადაგზე ჩადენილ აქტებს იწვევს. ეს დანაშაულები მოიცავს ქმედებებს, როგორიცაა: ქურდობა, ვანდალიზმი, დაშინება, ძალადობა, სექსუალური ძალადობა ან მკვლელობა. მსგავსი დანაშაულები მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა ევროპისათვის 9/11-ის შემდეგ. ევროკავშირის უმცირესობებისა და დისკრიმინაციის კვლევის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებში ყოველი მეათე მუსლიმი ხდება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი. აღსანიშნავია, რომ ძალადობა, აგრეთვე, მიმართულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც „ჰგვანან" მუსლიმებს. ამ შემთხვევაში კი ყურადღება მახვილდება სიქჰებზე. რომლებიც აღიქმებიან მუსლიმებად და სამწუხაროდ, ხდებიან სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ქმედებების მსხვერპლნი. ამ შემთხვევაში, ნათელია, თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს ინფორმაციის არ ქონასა და უმეცრებას.

საფრანგეთში 2010 წლიდან 2013 წლამდე ანტიმუსლიმური ინციდენტები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2010 წელს დაფიქსირდა 188 ინციდენტი. ეს რიცხვი 2011 წელს 298-მდე გაიზარდა, 2012 წელს 469-მდე და 2013 წელს 691-მდე. ზრდა, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო თავსაბურავებთან დაკავშირებული ინტენსიური პოლიტიკური კამპანიით. კამპანიამ, ბუნებრივია, გაამძაფრა ისლამის, როგორც უცხო და ქალთმოძულე რელიგიად აღქმა (Green 2015,

284-285). აღსანიშნავია, რომ, ბევრი დანაშაული ჩადენილი იყო მუსლიმი ქალების მიმართ. მაგალითად, 2013 წელს, ორი მამაკაცი თავს დაესხა ფეხმძიმე მუსლიმ ქალბატონს პარიზში და სცადეს მისთვის ჰიჯაბის მოხსნა ძალით (Abdelkader 2017, 45). მუცლის არეში მიყენებული დარყმების შედეგად, შემთხვევიდან ოთხი დღის შემდეგ ქალს მუცელი მოეშალა (Erlanger 2013).

2015 წელს, ჟურნალ შარლი ებდო-ზე თავდასხმის შემდეგ, გაიზარდა მუსლიმების მიმართ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რიცხვი. მაშინ, როცა 2014 წელს დაფიქსირდა 133 დანაშაული, 2015 წელს მოხდა 400-ზე მეტი ასეთი ინციდენტი. საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის მონაცემებით, ეს იყო მუსლიმების მიმართ სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების 223 პროცენტით ზრდა. დანაშაულები იყო სხვადასხვა ტიპის: მეჩეთების მიმართულებით ჭურვის სროლა, ცეცხლის გახსნა საქაბაბეში, ღორის თავის დატოვება სალოცავთან წარწერით „შემდეგ ჯერზე ეს იქნება თქვენი თავი“ და ა.შ. (Abdelkader 2017).

საინტერესოა, თუ რამდენად სწრაფი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს მსგავს ტერაქტებს. პირველი ანტიმუსლიმური თვდასხმა დაფიქსირდა 2015 წელს, შარლი ებდოზე განხორციელებული ტერაქტიდან რამდენიმე საათში. იმ საღამოს, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ალბის მახლობლად, მეჩეთში მოხდა ოთხი გასროლა. ასევე, ქალაქ ექს-ლე-ბენში მეჩეთი იმავე დღეს დაიწვა. ზღვისპირა ქალაქ ბაიონაში, მუსლიმთა მიმართ აგრესიით აღსავსე ადამიანები მეჩეთის კედლებზე წერდნენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ასასინები“, „ჭუჭყიანი არაბები“ და ა.შ. (France24 2015).

სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გარდა, ფრანგი მუსლიმები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან სხვა პრობლემებსაც, როგორიცაა, მაგალითად, უმუშევრობა. ფრანგი მუსლიმებისთვის ძალიან რთულია გრძელვადიანი, სრულ განაკვეთიანი სამსახურის პოვნა. 2010 წელს სტენფორდის კვლევამ დაადასტურა, რომ მუსლიმები იჩაგრებიან დასაქმების სფეროში. კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმების კუთხით, საფრანგეთში, ქრისტიანები ორჯერ მეტ შესაძლებლობას იღებენ, ვიდრე თანაბრად კვალიფიცირებული მუსლიმი კანდიდატები. ახალი კვლევა, რომელიც ჩატარდა 2015 წელს, ადასტურებს, რომ დამსაქმებლები ქრისტიან ან ებრაელ აპლიკანტებთან შედარებით, უფრო ნაკლებად ასაქმებენ მუსლიმ მსურველებს (Abdelkader 2017, 46).

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიოში არსებული ისლამოფობია გავლენას ახდენს მუსლიმების ცხოვრებაზე. გავრცელებული სტერეოტიპების შედეგად მშვიდობიან, უდანაშაულო მუსლიმებს უწევთ ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც ხალხი მათ ეჭვის თვალით უყურებს. საზოგადოება დასავლეთში მცხოვრებ მუსლიმებს არ აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას. ისლამოფობიის გავლენა გამოიხატება ბევრ ასპექტში. მუსლიმების დისკრიმინაცია იზრდება სამსახურებში, სკოლებში, ქალაქის ქუჩებში. გავრცელებული მოსაზრება, რომ ისლამი ასოცირდება აგრესიასთან, ტერორიზმსა და ძალადობასთან, იწვევს ხალხში ანტიმუსლიმური განწყობის გაჩენას, რაც შემდგომ უკვე ვლინდება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ ქმედებებში. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები, როგორც აღვნიშნე, ხშირია საფრანგეთში. არც თუ ისე ცოტა ადამიანი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სახელმწიფოში იგრძნობა ისლამოფობია, რაც ფრანგ მუსლიმებ სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს. ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რაც უკავშირდება ფრანგულ სეკულარიზმს, ზღუდავს მუსლიმებს, განსაკუთრებით მუსლიმ ქალებს, რადგან მათ არ აქვთ უფლება თავად გადაწყვიტონ ატარონ თუ არა რელიგიური სიმბოლოები, ამ შემთხვევაში ისლამური თავსაბურავები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ამასთან ერთად, ქვეყანაში არის დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები. მუსლიმები, სამწუხაროდ, ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი დასაქმების სექტორში, რაც ართულებს მათთვის შესაფერისი სამსახურის პოვნას. ბუნებრივია, გარემო, სადაც თავს გრძნობ გარიყულად, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე და ამ მხრივ, აღნიშნული პრობლემა, ასევე, საკმაოდ საყურადღებოა.

საერთო ჯამში, ისლამოფობია საფრანგეთში სერიოზული გამოწვევაა, რის შედეგადაც არაერთი უდანაშაულო ფრანგი მუსლიმი იტანჯება. ქვეყანაში არსებული კანონები კი, გავრცელებულ სტერეოტიპებთან ერთად, უფრო ართულებს ისლამის მიმდევრების ცხოვრებას აღნიშნულ სახელმწიფოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Abdelkader, Engy. 2017. "A Comparative Analysis of European Islamophobia: France, UK, Germany, Netherlands, and Sweden." *UCLA Journal of Islamic and Near Eastern Law*, 16 (1): 29-63.

Abdulla, Rasha A. 2007. "Islam, Jihad, and Terrorism in Post-9/11 Arabic Discussion Boards." *Journal of Computer-Mediated Communication*, Volume 12, Issue 3: 1063-1081.

Birmingham City University. 2020. "COVID-19 Sparks Online Islamophobia as Fake News and Racist Memes are Shared Online, New Research Finds." https://www.bcu.ac.uk/about-us/coronavirus-information/news/covid-19-sparks-online-islamophobia-as-fake-news-and-racist-memes-are-shared-online-new-research-finds?fbclid=IwAR2Tz0N8Nyth72Rorz5wxaoXCqTABJ5uRrThrc-jyWNCrTxerLOn4i299_s.

Erlanger, Steven. 2013. "Muslim Woman Suffers Miscarriage After Attack in France." *The New York Times*, June 18, 2013. https://www.nytimes.com/2013/06/19/world/europe/muslim-woman-suffers-miscarriage-after-attack-in-france.html.

Esposito, John. 2002. *What Everyone Needs to Know about Islam.* New York: Oxford University Press.

France24. 2015. "Anti-Muslim Acts Escalate after Paris Terrorist Attacks." January 13, 2015. https://www.france24.com/en/20150113-france-anti-muslim-acts-spread-charlie-hebdo-terrorist-attacks-islam-mosques.

France24. 2022. "France 2022 – Presidential Election – Second-round Results." https://www.france24.com/en/france-2022-presidential-election-second-round-results.

Green, Todd H. 2015. *The Fear of Islam: An Introduction to Islamophobia in the West.* Minneapolis: 1517 Media, Fortress Press.

Iqbal, Jawad. 2015. "Muslim Population in France." *BBC*, January 15, 2015. https://www.bbc.com/news/the-reporters-30835554.

Jabkhiro, Juliette, and Manuel Ausloos. 2022. "Voting for Macron is a Bitter Pill to Swallow for Some French Muslims." *Reuters*, April 20, 2022. https://www.reuters.com/world/europe/voting-macron-is-bitter-pill-swallow-some-french-muslims-2022-04-20/.

Khan-Ruf, Safya. 2022. "Le Pen is Bad, but Many French Muslims Like Me Don't Want to Vote for Macron Either." *The Guardian*, April 22, 2022. https://www.theguardian.com/commentisfree/2022/apr/22/macron-or-le-pen-many-french-muslims-may-say-neither.

Lang, Cady. 2021. "Who Gets to Wear a Headscarf? The Complicated History Behind France's Latest Hijab Controversy." *Time*, May 19, 2021. https://time.com/6049226/france-hijab-ban/.

"'Law against Islam': French Vote in Favor of Hijab Ban Condemned." *Aljazeera*, April 9, 2021. https://www.aljazeera.com/news/2021/4/9/a-law-against-islam.

Müller-Uri, Fanny, and Benjamin Opratko. 2016. "Islamophobia as Anti-Muslim Racism: Racism without "Races," Racism without Racists." *Islamophobia Studies Journal*, volume 3, no. 2 (Spring): 117-129. Accessed May 2022. https://www.crg.berkeley.edu/crg-publications/islamophobia-studies-journal-spring-2016-volume-3-issue-2/.

Rose, Hannah. 2021. *Pandemic Hate: COVID-related Antisemitism and Islamophobia, and the Role of Social Media.* Munich: Institute for Freedom of Faith & Security in Europe.

S.P. 2020. What is French Laïcité? *The Economist*, November 23, 2020. https://www.economist.com/the-economist-explains/2020/11/23/what-is-french-laicite.

Sayyid, Salman. 2011. "Racism and Islamophobia." *International Centre for Muslim and Non-Muslim Understanding*. *MnM Commentary*, no. 4: 1-4.

Yeung, Peter. 2021. "France's Controversial 'Separatism' Bill: Seven Things to Know." *Aljazeera*, February 15, 2021. https://www.aljazeera.com/news/2021/2/15/frances-controversial-separatism-bill-explained.